ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

N 2297345
28.05.2020.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი კაპანაძეს
მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

ადგილის მმართველობის მერის
შემოსავალი № 1-6902
29 05 2020

ბატონო გიორგი,

თქვენი 2020 წლის 13 მაისის №6008-2 წერილის პასუხად, რომელიც ეხება წეროვანში მდებარე 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.08.28.651) პრივატიზების საკითხს გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს კუთვნილი 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად, ნაკვეთი ხვდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში, რაც დადგენილია „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის დადგენილია 20 მეტრიანი დაცვითი ზონა ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან. აღნიშნული დადგენილებით, ასევე, იკრძალება ნებისმიერი ქმედება (მათ შორის შენობა-ნაგებობების მშენებლობა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა და ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან მისასვლელი გზების ლიკვიდირება ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) და შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლე, განურჩევლად ფორმისა, ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ნორმატიული შეზღუდვების დაცვა, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრობლემურია კერძო მესაკუთრეების/მოსარგებლეების შემთხვევაში.

შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზის უსაფრთხო და გამართული ექსპლოატაციის მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიისთვის კატეგორიულად მიუღებელია ელ. გადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის განკარგვა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და წერილში მითითებული უძრავი ქონების განკარგვა განახორციელოთ ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში მოხვედრილი მიწის ფართობის გარეშე და მისასვლელი გზის სავალდებულო უზრუნველყოფით. ამასთან ერთად აუცილებელია შეგვითანხმოთ მისასვლელი გზის დეტალური პირობები.

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

შემსრ: თორნიკე ხარაიშვილი/ტელ: 577 35 05 72